

# ლიტერატურული განეთი

№10 (290) 2 - 8 ივლისი 2021

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი


პატა ნაცვლიშვილი

## თანხმოვ(ა)ნებანი

ლექსების სათაურებში ყოველი რიცხვი თანხმოვანთა ადგილს შეესაბამება ქართული ანბანის 33-ასოიან რიგში.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სქოლით ლექსის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისი ნაკითხვა, ისევე როგორც თავად ლექსისა, სულაც არ არის აუცილებელი.

ყველა ეს ლექსი, თუმცა დღემდე გამოუქვეყნებელია, ნინა ათასწლეულში დაინერა. ბუნებრივია, იმდროინდელია სქოლიონებიც. ამიტომ შესაძლოა, ზოგიერთი ბიოგრაფიული თუ სხვა სახის ცნობა სქოლიონებში რამდენადმე მოძველებული იყოს.



08.12.18.

სასახლედ გადაქცეულა ქოხი პიძია თომასი<sup>1</sup>,  
ცაში ქუდები ისროლეთ, ვინც ხართ ქართველთა თემისა,  
თამასას დაბლით უმზერენ ბრუმელი<sup>2</sup>, გინა თომასი<sup>3</sup>,  
შავლაყაძემ<sup>4</sup> კი — ოლოლო! — ქვეშ მოიქცია თამასა!

<sup>1</sup> „პიძია თომას ქოხი“ ამერიკელი მწერლის პარიეტ ბიჩერ-სტოუს (1811-1896) რომანია.  
<sup>2,3,4</sup> ვალერი ბრუმელი (სსრ), ჯონ თომასი (აშშ) და რობერტ შავლაყაძე (სსრ) სიმაღლეზე მხტომელები არიან. ისინი რომის ოლიმპიურ თამაშებზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დებიუტანტმა რობერტ შავლაყაძემ (დ. 1933) უკან ჩამოიტოვა ორივე მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

08.17.25.

არ იქნა, აღარ დასრულდა ეს აწყვეტილი თარეში,  
იქეთ — ახვარი ტარასი<sup>1</sup>, აქეთ — ემხვარი თარაში<sup>2</sup>,  
თურაშაულის პატრონი ფულს გადაიხდის თუ რაში,  
გოგრა შუშა ვერ გახდება, თუნდ მაღლა შასდო თაროში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ტარასი (გვარი უცნობია) — ავტორის ერთი ნაცნობი.  
<sup>2</sup> თარაშ ემხვარი — პერსონაჟი კონსტანტინე გამსახურდიას (1893-1975) რომანიდან „მთვარის მოტაცება“.  
<sup>3</sup> პერიფრაზი თბილისელი აშულის საიათოვას (დაახლ. 1712-1722-დაახლ. 1795-1801) აფორიზმისა: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა თახჩაშიაც შაინყოს“.

10.02.10.

არის უბრალო კუბიკი, არის რუბიკის კუბიკი<sup>1</sup>,  
ტრაბახო — სიდა სამბა — ნო!<sup>2</sup> აშშ — არა! კუბა — კი!  
არის თეატრი — ჰევია ნო<sup>3</sup>, არის თეატრი — კაბუკი<sup>4</sup>,  
არის დუქანი, ტავერნა, ტრაქტირი, ბარი, კაბაკი<sup>5</sup>.

<sup>1</sup> რუბიკის კუბიკი — 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ ფატობრივად უკანასკნელმა არაკომპიუტერულმა სათამაშომ მთელი მსოფლიო დაიბყრო, ხოლო მისი შემქმნელი — უნგრელი ინჟინერი და დიზაინერი ერნო რუბიკი (დ. 1944) უსაშეველოდ პოპულარული გახდა.

<sup>2</sup> ტრაბახო სი, სამბა ნო! (ესპ. trabajo si, samba, no!) — მუშაობა კი, სამბა არა! ეს ქრაზა ფიდელ კასტროს მონოდება იყო ზარმაცი და მოცეკვავე თანამემამულებისადმი 70-იან წლებში.

<sup>3</sup> ნო — იაპონური ტრადიციული თეატრი.

<sup>4</sup> კაბუკი — იაპონური ტრადიციული თეატრი.

<sup>5</sup> კაბაკი (რუს. Кафак) — ბარი. რუსული დუქანი.

10.04.11.

კადილაკი<sup>1</sup>, კადილაკი, კადილაკი, კადილა...  
ისე მიქრის, თითქოს უნდა გაანგრიოს კედელი,  
ბალებია ბაბილონში თურმე ზეცად კიდული,  
ტვინს გიხვრეტავს იმ ბალებით მოფრენილი კოდალა.

<sup>1</sup> „კადილაკი“ — მდიდრული ამერიკული ავტომობილის მარკა. კომპანია „კადილაკი“ შეიქმნა 1903 წელს დეტრიოტში; სახელი ეწოდა ამ ქალაქის დაბაარსებლის, ფრანგი დიდგვაროვნის ანტუან დე ლამოთ-კადილაკის პატივსაცემად; 1909 წლიდან შედის „ჯენერალ მოტორსის“ კორპორაციაში.



შემდეგი ნომერი გამოვა  
ერთ კვირაში — 9 ივლისს

დასასრული  
დასაწყისი N289

\*

ბიძაჩემი უბრად იჯდა სავარძელში საყვედურებით აღსავსე გამოხედვით, თითქოს მთელი სამყარო მასთან ვალშია. ასეთ მზერას ერთი დღის უიღბლობა არ გამოიწვევდა, ამას მრავალ ასეთ დღეთა შეჯამება განაპირობებდა. ჩემ დანახვაზე ფეხზე წამოდგა, ასე ჩვეოდა ხოლმე.

— დააგვიანე! განა მატარებელს არ ჩა-  
მოჰყევი?

— მატარებელს ჩამოვყევი!

კარგა ხანი არ მენახა და უფრო ლაღი  
მახსოვდა. მის მზერას მგზნებარება დაჰკ-  
არგვოდა, როგორც ამღვრეულ წყალს  
გამჭვირვალება. სწორედ ამ აჟელის გამო  
იყო, ვერასძროს იცლიდა, მომცრო ბინა-  
ში რომ ჰქონდა გამართული. ქურთუკი  
შესასვლელში ჩამოვკიდე. იმ ჰერიოდში  
ასეთ საკიდებს ბევრგან ნახვდით. ვეება  
ჩუქურთმას ჰგავდა ყოველ მხარეს გაშ-  
ვერილი საკიდით. ბიძაჩემს სხვენი ხარახ-  
ურით გამოივსო, სარდაფი კი უსარგებლო  
ნივთებით. კომოდზე გამჭვირვალე ლარ-  
ნაკი იდგა, ხმოვან ბეგერასავით ნაზი. კიდევ  
ცარიელი ზარდახბა, როგორც თვითონ  
ამბობდა ქარვისა და მარგალიტებისთვის,  
რომელიც არასოდეს ჰქონია. მერე სუ-  
ფრას მივუსხედით, კარტოფილი შეენვა.

გზა ვინ მოგასწავლაო, მკითხა, ფანჯ-  
რიდან თუ მომკრა თვალი. ვუთხარი, მაღ-  
ქოზი ჰქვია, შუადღის მერე და ვყებები-მეთ-  
ქი. ხმა არ გაუღია, სახამ ყოველი დეტალი  
არ ვუძმებ. ბუზღუნა იყო, მაგრამ აღიდი ინ-  
ტერესი კი ჰქონდა. ნეტავ სულ არაფერი  
მეთქვა, იმდენი წვრილმანი გამომეტხა. ეს  
უბრალო ვინჩე არ გეგონოსო, აღნიშნა ბო-  
ლოს. ოთახის სიღრმეში საათი წიკნიკებდა,  
თითქოს ჩემს სახელსა და გვარს იმეორებ-  
და წუნუნით და თავს აქეთ-იქით აქნევდა  
უქამდა ცილინდრ. ტახტზე წამოვწეტი და თვ-  
ალთახედვაში ხეები აყირავდა. მთვლემა-  
რე ეკნეროებს ლრუბლები ბალიშივთი ეფ-  
ინათ თავქვეშ. ბიძაჩემს გაუფერულებურ  
დაფაზე აქაური ლანშაფტების ამსახველი  
რამდენიმე ფოტო გამოეკრა. ერთხანს ვაკ-  
ვირდებოდი, მერე გარემომცველ ნივთებს  
და ვუწყებ თვალიერება. ტორშერი დროდა-  
დრო თავისით ინთებოდა და ქრებოდა, მა-  
გრამ ბიძაჩემს გადასაგდებად ენანებოდა.  
ვყელაფერი ჩემი შრომით შევიძინეო, ამბ-  
ობდა. სადღაც ზანზალაკის ხმა გაისმა, ამ-  
ათ დაშთენილ მიდამოს წამიერად რომ  
აფხიზლებდა, რათა მერე ისევ ღრმა ძილს  
მისცემოდა.

ბიძაჩემი სახლს მხოლოდ მაშინ ალა-  
გებდა, როცა სტუმრებს ელორდა, ეს კი ისტვი-  
ათად ხდებოდა. იმ დღეს ცოტაოდენი გარ-  
ჯილა. მომჭირნე კაცი იყო. ამბობდა, როცა  
დავიძადე, წყალს გალონებით ზომავდნე-  
ნო, ხოლო პარმალებს გრძელი ცოცხებით  
ჰგვიძნენო, ასეთი ცოცხები უფრო დიდა-  
ს სძლებდათ. არ ვიცი, რას მოაყოლა. ეტ-  
ყობა, თავის მომჭირნეობას მოუძებნა გამ-  
ართლება. დილით ფოსტაში წავედით და  
ბებიაჩემს დეპეშა გავუგზავნეთ ერთობ  
ძუნი ტექსტით — წავედი მშვიდობიანად,  
ბიძაჩემა მოგიკითხა — ყოველი სიტყვა  
ფული ლირდა, რასაც ბიძაჩემი დიდ მნიშვნე-  
ლობას ანიჭებდა. გამოსავლად მხოლოდ  
დაზოგვა მიაჩნდა. შინ რომ მივბრუნდით,  
მოულოდნელად მალეოზი დაგვადგა და  
ლვინო მოითხოვა. ბიძაჩემი დოქის გამო-  
სატანად ოთახში შევიდა. მალეოზიც შე-  
ჰყვა, ასე რამ დაგაბეჩავა, სტუმარი ვერ  
მიგიყვანია სახლში, დაუტია მკაცრად.

— მობრძანდი, ბატონო! — სიმხევე  
მოიკრიბა შემცხარმა ბიძაჩემთა, ყველაფე-  
რში აღმატებულ სიფროთხილეს რომ იჩენ-  
და. სიფროიფანა ჭიქები ნება-ნება შეავსო  
წითელი დვინით, თეთრ, ქათქათა სუფრაზე  
რომ არ გადასხმოდა. მალქოზმა ზედიზედ  
რამდენჯერმე გადაპკრა, ეტყობა, სიმთვ-  
რალე ხალის ჰმატებდა. ფოტოებით რომ  
აგივსია ოთახი, ჯვარი ვერსად დაკიდეო,  
უსაყველურა ბიძაჩემს. მერე ტუჩები გაან-  
კლაპუნა და წავიდა. ეგ ტყუილად არ მოვ-  
იდოდაო, დაიჩემა ბიძაჩემთა, ჰიპარად  
არსად დადისო. რაღაცა მიგვანიშნაო, რო-  
მელსაც ახლა ვერ ვხვდებითო. არ ვიცი,  
რას გულისხმობდა. ჩემთვის რომ გეკითხ-  
ათ, ყველაფერი გასაგებად და შეფარვის  
გარეშე თქვა, მაგრამ ბიძაჩემი ძალიან  
ჩააფიქრა ამ ამბავმა. მაშინ სიტყვა სალო-  
სის მნიშვნელობა კი არა, საათის ცნობაც  
არ ვიცოდი წესიერად.

## დიმიტრი წიკლაური

# ქორების გირა

## ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



უცნაური გლახავი მომდევნო დღესაც  
გვესტუმრა. მახსოვს, კვირა იყო. ასე ოქა,  
სამყაროს ბრუნვა კრიალოსნის დამარცვ-  
ლას ჰგავსო, ყოველ ჩამოლოცვაზე დღეს  
ლამე ცვლისო. კრიალოსანი ბერების გა-  
და წერილი მის მიერ და მის მიერ და მის  
ძველი იყო, ზოგან ბათქაში ჩამოფხეკოდა,  
გვერდით კი მდინარე ქორიშა ჩაუდიოდა.  
პირველსავე დღეს ჩავენერე კოლეჯის ბიბ-  
ლიოთეკაში და წიგნებს ჩაუკვექი. თვეში  
თითო თაროს გადაკითხვა დავგეგმე.

ცუდის მთემელ კაცს მთელ არაქანში ვერ ნახავდი. ისეთი ფოტო რად მიზნდა, თუკი ერიალისანი არ გამოჩნდება, დაუზუსტა მაღლქოზმა. ის კი მერე მოაყოლა, თავი-დან რაც გითხარით. ბოლოს ასე გაასრულა, რჩება უდაბნოსაც სამოთხის ბალჩად აქცევსო. მისი წასვლის შემდეგ ბიძაჩემა თქვა, ამას ფოტო არაფერში სჭირდება, ეტყობა, ვიღაც უცნაური კლიენტი მომაკითხავს.

ორშაბათს ბიძაჩემა აკადემიაში წამიყვანა რეგისტროთან მოსალაპარაკებლად. სამხატვრო სკოლა უანგაიანი უქმებით გადახურულ ძველ, დაფხავებულ შენობას წარმოადგენდა. ჩამტვრეული კრამიტები ალაგ-ალაგ ჩამოცვენაზე იყო. მრავალ ხერხს მიმართავდნენ, წყალი რომ არ ჩასვლოდათ, მაგრამ შედეგს ვერ აღნევდნენ. ამიტომაც დამლაგებელი წვიმის დროს იატაკზე სათლებს ალაგდა, სადაც წვეთხის ტყაპა-ტყუპი გაისმოდა, თითქოს ვიღაც ტირისო. ასეთი სათლები დერეფნის მთელ გაყოლებაზე იდგა ხოლმე, მაგრამ ირგვლივ ჰარეკტი მინც სველდებოდა. შენობა — მთელი არსებით ევროპას ვეკუთვნი! — ამბობდა ის, — ფიქრებით შოტლანდიასა და სკანდინავიას დავტრიალებ, სადაც მოტივტივე ყინულები მთვარის შუქზე გაკრთებიან ხოლმე და წამსვე სიბერელეს ერევანიან ფარულ დინებებს მინებებული, ჩვენთან კი ერთფეროვნების ფარული ბიძები უსასრულოდ გრძელდება. იქ სხვანაორი სახელოსნოები აქვთ, ტაშზე მუსიკა ირთვება, სტკენაზე შუქი, ხელის გაქნევაზე პატეფონი! ჩვენთან კი, ეჲ! — ამოიხტრებდა ბოლოს, თითქოს არაფრის შეცვლა არ ძალუსო, მაგრამ დაშიჯერეთ, ჩვენ საქმეში ეგ არ არის მთავარიო, ფერთა საიდუმლოს თუ ვერ შეიცონბდთ, უბრალო მღებავები გამოხვალოთ. ეს რომ თქვა, მოპირდაპირე შენობისკენ გაგვახედა, სადაც მაღალ კიბეზე შემდგარ კაცს თავზე ფარფლებიანი ქუდი ჩამოემხო და გრძელი ვა-გრისით კედელს რუდუნებით ათეთრებდა.

— დარწმუნებული ვარ, ოდესალაც მასაც მხატვრობა ენდომებოდა! — აღნიშნანა ნაღვლიანად, მერე კი ჩვენ მოგვიბრუნდა, — შემვეთი პირველივე ესკიზით უნდა მი-

ხვდეს, არჩევანში რომ არ შემცდარა. თქ-  
ვენ საქმიანობაში დაოსტატდით და ცხ-  
ოვრებას დიდად გაიაღვილებთ!

დერეფაში დაგებულ ფილებზე ბეტონი  
ში კენჭები ჩაეყოლებინათ, ხორბლის მარც-  
ვლებივით რომ ბრნებინავდა. მას ნავლებე-  
ლი შეფიქრიანებული ჩანდა. თავის შეხედუ-  
ლებებს როცა გვამცნობდა, კოპების შეკვ-  
რას გონიერების მოხმობად მიიჩნევდა. შე-  
ნიშვნის მიცემა ჩვევად ჰქონდა, ამის გა-  
რეშე ხმის ამოღებაც გაუჭირდებოდა, თი-  
თქოს ყოველ წამს შეჯამებას ახდენს. ასე  
თქვა, სიბერე გენერალურ სხდომაზე დას-  
წრებას ჰგავს, სადაც მთელი ცხოვრების  
განხილვა მიმდინარეობს.

ფარდული ათასგვარი ხარაბურით გამოეტენა. იქ ბლომად ცხვრის ტყავიც შეენახას. ვინ იცის, რაში იყენებდა. როცა ამის შესახებ ვკითხეთ, ნახევრად ხუმრობით გვიპასუხა, შეძენის მსურველი ბევრია, მაგრამ ძირითადად მგლები ყიდულობძნ, შიგნით რომ გაეხვნებო. მერე საღებავების შეზავების ტექნიკოლოგიაზე გვესუბრა. ბევრი რამ გვიამბო ცხოვრებაზეც. ახალგაზრდობაში უნდა დაადგეთ სწორ გზასო. ცხოვრება წნევია, წარსულს მომავლად რომ აქცევსო და ხომ ხედებით, რამხელა სამუშაო მიმდინარეობსო. დანწევების პროცესი ბევრ რამეს ცვლისო ადამიანში. დიდი საქმეები ბევრ დროს გვართმევს, ჩვენ კი სიცოცხლის დროს მხოლოდ გართობას ვახმართო. ცხოვრება თავის ჩანაფიქრს ერთპიროვნულად წყვეტსო, ცხარე მსჯელობას კი არ მართავს პიროვნებასთან. იგი ვრცელ და დამთრებუნველ ზღვას ჰეგავს, ყოველ დღეს ახალ-ახალ ტალღებად რომ გვახლოსო. მერე გვიამბო, ამერიკაშიც ცყვაფილვარო. ალასკიდან მომავალ მარხლებს გადასაფარებლებზე ოქროს მტვერი აპნევიათო, როგორც მაისში ხედება ხოლმე ყვავილების დამტვერვაო. ქსოვალი თაფლის ზოდივით ციმტიმებსო, რადგან ოქრო ქარბუუში გამოვლილიც ინარჩუნებს ბრჭყვიალებასო. ჩრდილოეთში არყის ხები ისევეა გავრცელებული, როგორც სამხრეთში ჭაღრებიო. ადრე ამებს ვხატავდი და ცყვადდიო, მისი ხილვით ანი სხვები დატკბენებ-მეთქი. მობეზრებამ შეჩვევა იცის, ფიქრს კი დახანება სჩვევია. თავს ველარაფრით დააღწევო. არყის ხები ზოგან ჩვენთანაც ხარობს-მეთქი, წამოვიძახე ბრიყვულად, რასაც დანარჩენთა სიცილი მოჰყვა. ხარობს, მაგრამ ერთობ გარეულობით, თქვა მან.

ମେ ଫଳେସ, ଶିଳ ରନ୍ଧ ଦ୍ୱାଗର୍ତ୍ତରୁଣ୍ଡି, ଦେଵରୀ  
ପିତ୍ତୋପିର୍ଜ୍ଞ ଓସକ୍ତାତ୍ମିଳ ମର୍ମନାୟମ୍ବଲ୍ଲଥୀୟ. କାରଙ୍ଗି ପିତ୍ତୋ  
ହେବନ୍ଦା, ମେତ୍ର ମେମୋଗ୍ଭାୟରା-ମେତ୍ରୀ, ମାଗରାମ  
ମେର୍ଗ ମାଲ୍କଗ୍ନଠିଳ ଅଲ୍ଲବ୍ରନ୍ଦେବା ଦାଖିର୍ମଦା. ମାନ  
ଅମିକ୍ଷନା, ଅମାସ ଆର୍ଦ୍ରବୀତି ମନୀଶ୍ଵର୍ବନ୍ଦା ଆରା  
ଏକ୍ସର, ଆଫାମିନାନୀ ଶ୍ବେତା ରାମିତ୍ତତ୍ତ୍ଵିଳ ଆରିଲାନ  
ଗାହିନ୍ଦିଲୋ. ଇସେତ ଲ୍ଲେକ୍ଷିତୀର୍ବେଳା, ରନ୍ଧମେଲିପ୍ର ଦେ-  
ପର୍ବତ ଆରାଯ୍ରେଲ ମାଲ୍ଲେବଦ୍ଵା, ପାତ୍ରଦେବନ୍ଦି ଦା ମା-  
ଲ୍ଲେଖଳ୍ବ ବନାଶୁଲ୍ଲବ୍ଦି. ମାସ ଅଭ୍ୟାଳାପ ପାଗ-  
ନ୍ଦେଭିତ୍ତି ତାନମଦ୍ରେଵ ଶୁରୀମାମ୍ବୁଲାଇଟ. ମିଳ ଗାମନ୍ଦିର୍-  
ନାସ ପ୍ରେରଣାତ୍ମକି ହିନ୍ଦୀମନ୍ଦିର ମରତ୍ତପ୍ରେବନ୍ଦା  
ବେଳମ୍ବ. ମାଲ୍କଗ୍ନଠିଳ ଗାମନାତକ୍ଷେତ୍ରମିଳ ସାତ୍ତ୍ଵି-  
କାଫ ବ୍ରନ୍ଦନ୍ତୁଲାପ ଦା ମାତ୍ରିଲାଗରନ୍ତିପର୍ବତ୍ତୁଲାପ  
ମେହିବେନ୍ଦବନ୍ଦା. ଦେବରଜ୍ଞେର ପାଲ୍ଲିପ୍ର ପିଜ୍ଜେର୍ରେ  
ସିଫିଲିଟ. ଏରତ୍ବେଲ ଆପାଦେମିନାତାନାପ ବନାଶ,  
ରଙ୍ଗମରଳାପ ଗାନ୍ଧାରାଲ୍ପ୍ରେବେଳି ତ୍ରିଖାତିରିବନ୍ଦ,  
ସାପ୍ତିପ୍ରେଦ୍ୟରନ୍ଦଦା ଶ୍ରେଣୀଳିଦା ରାଜ୍ଞୀ, ତାନ ଆର-  
ନ୍ଦିଗ୍ରଦା, ମେରାତି ଲୋକବାସ ଉପର୍ମିଳି, ବ୍ୟାପକା-  
ପି ଶମାକିଳ ଲୋକବାସ, ମଧ୍ୟବାରାଦା ମନ୍ଦିର-  
ଦିଲୀପ ତା ଦା କ୍ଷେତ୍ରବାନା. ମେର୍ଗ ଦାଲାଶିଳ ମାର୍କିର୍-  
ଜ୍ଞାପ୍ରେବ ଗାନ୍ଧାରା ମନୀର୍ଯ୍ୟଲାପ, ପିତ୍ତୋ ଆପାଦେମି-  
ନି ଶବ୍ଦମିଳ ରନ୍ଧ ସାଫିଲାବଦ୍ଧନ୍ବେ. ତାନ ଏରତ୍ବିମା-  
ନ୍ଦେତଥେ ତ୍ରୈନ୍ଦିନଜ୍ଞବଦ୍ଧନ୍ବେ ଦା ଦିଲ୍ଲିନିଶିତ୍ପ୍ରେବାନ୍ଦ-  
ନ୍ଦେବ.





ვერ გაიგებ ეჟვანი ვისი ვის და რას ება...  
ხვალე საპრემიეროდ გველოდება როსება!

<sup>1</sup> ლალი როსება (დ. 1942) — ქართველი დრამატურგი; მუშაობს გიდად მოსკოვიდი, ტრეპიაულის გაღმინვანების მარჯანიშვილის თაატრიმზევა უკანასკნები სხვადასხვა დროს მისი ცუთი მეტასა დადგა: „პრემიერა“ (1979), „პროვინციული ამავარი“ (1981), „საყვარელის შეზ“ (1982), „ჩრდილი არს ჭურისება“ (1983), „სახლის აწელოზები“ (1996). ლექსში „პრემიერის“ პრემიერა უნდა იყვნის ხელმძღვანელი.

## 18.02.13.

გრძელ ფეხებზე საბონისს<sup>1</sup> ვერ გასწოდება საბანი,  
ვერ გასწოდება ამდენ მგზავრს  
ლუფტჰაინზა<sup>2</sup> თუ საბენა<sup>3</sup>,  
ვერ გასწინდენ ჩვენს სულებს სულხანი და საბანი<sup>4</sup>,  
არც საპონი ეყოფათ, არც რა წყალი საბანი.

<sup>1</sup> არგოდას საბონისი (დ. 1964) — ლიტველი კალათბურთელი; XX საუკუნის მიწურულის შემოფლის ერთ-ერთი სუკეთდებული (სისალოუ — 220); თაბაშიძე და ეროვნისა მარერიკის სხვადასხვა კლუბში: „უალგარისის“ (კაუნასი), „ფიროზის“ (გალათილობი), „რელი“ (მარინიდი), „ტრელი ლუკინის“ (პორტლენდი), აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ლიტვისის ნაკრებ გუნდებში. არის ოლიმპიური ჩემპიონი (1988).

<sup>2</sup> „ლუფტჰაინზა“ — გრძელული ავასა კონკრეტული.

<sup>3</sup> „საბენა“ — ბელგიური ავასკაბრძნისა.

<sup>4</sup> სულხანი და საბანი — ავტორის ჩანაფიქრით, ერთ და ბერი უნდა იგულისხმებოდეს.

## 18.10.17.

ჩვენებურად — ფეხბურთი, მათებურად — სოკერი<sup>1</sup>,  
ქვიშასა თუ ალუბალს სხვამ დაარქვა საკურა<sup>2</sup>...  
მაჩაბელი ივანე<sup>3</sup>, ანთებული საკირე<sup>4</sup>...  
ჭაჭა რაა, რახი — რა, ვოდკა<sup>5</sup> რაა, საკე<sup>6</sup> — რა!

<sup>1</sup> სოკერი — ასე ეძახიან ფეხბურთს, ერთოულ ფუტბოლს ამერიკელები.

<sup>2</sup> საკურა — (იახ.) ალუბალი.

<sup>3</sup> ივანე მაჩაბელი (1854-1898) — ურალისატი, მთარგმნელი და საზოგადო მოწყვეტი.

<sup>4</sup> გადმოცემით, ივანე მაჩაბელი გახურებულ საკირეში ჩავარდა (თუ ჩაგდეს).

<sup>5</sup> ვოდკა — რუსული არაყო.

<sup>6</sup> საკე — იაპონური ბრინჯის არაყო.

## 18.11.10.

სულაკაურს<sup>1</sup> (გამომცემელს) სურს, გამოსცეს სულ აკა<sup>2</sup>,  
კარგად იცის — სალაგას<sup>3</sup> და ხამსასა<sup>4</sup> სჯობს სალაკა<sup>5</sup>,  
მეჩითოვა<sup>6</sup> ფოტო-გრაფობს, ვიტორიო სელა<sup>7</sup> კი  
ქართულ მთებში დალის ექცეს, —  
სად ხარ, ჩემო სულიკო<sup>8</sup>!?

<sup>1</sup> ივულისხმება ბაკურ სულაკაური (დ. 1964), გამომცემელი.

<sup>2</sup> აკა — აკა მორჩილიძე, გორ იხველებინის (დ. 1966) სამწერლო ფსევდონიმი.

<sup>3</sup> სალაგა — ახალ ფეხი.

<sup>4</sup> ხამსა — ერთგვარი წერილი თევზი.

<sup>5</sup> სალაკა — ატოლნიტკური ქაშაგის ბალტიკური ქვესახეობა.

<sup>6</sup> იური მეჩითოვი (დ. 1950) — თბილისეთი ფოტოგრაფი.

<sup>7</sup> ვიტორიო სელა (1859-1943) — ტურინელი ფოტოგრაფი. ბლომად ფოტოები გადაღილ საქართველოს მთებში.

<sup>8</sup> სულიკო — ისმ. ვარინგა ნერეტლის ცონბილი სიმღერა „სულიკო“.

## 18.13.19.

ნერონის<sup>1</sup> ცხენს მეფობა სურს, აღარ უნდა სენატი<sup>2</sup>,  
იმპერიებს ურჩენიათ ზოგჯერ კოჭლი სონეტი<sup>3</sup>,  
ისმის აპასიონატა, ანუ მთვარის სონატა<sup>4</sup>.  
დარევიან ურთიერთას შიიტი<sup>5</sup> და სუნიტი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ნერონი (37-68) — რომის იმპერატორი.

<sup>2</sup> ივულისხმება ის ფაქტი, რომ ნერონმა (იხ. ზემოთ) თავისი ცხენი სენატორად დაადგინა.

<sup>3</sup> დდრ, მურმან ლებანიძის (დ. 1922) „კოჭლი სტრიქონი ერჩია მთელ იმპერიებს“ („თეოტირი ლექსები ფიქრისა“, 1959).

<sup>4</sup> აპასიონატა ანუ მთვარის სონატა — ლუდვიგ ვან ბეთოვენის (იხ. მე-3 შენიდუნი, 07.07.13) თავზი; ნაყვარება დ. ი. ლენინს (1879-1924).

<sup>5</sup> შიიტი და სუნიტი — ისლამის ორი ძრობილი მიმდევრები.

## 18.19.17.

ბალახში როგორც დარბოდა, ისე რბის თეთრი სეტერი<sup>1</sup>,  
ეშმაკმა მათრახისაგან დროშის გათალა სატარე,  
ჩლიქებზე ისვამს მანიკურს ბალანაშლილი სატირი,  
ნიანგი<sup>2</sup> კოცნის ტარტაროზშ<sup>3</sup> — იუმორი და სატირა...

<sup>1</sup> შდრ, მორის ფოცხიშვილის (დ. 1930) „ბალახში ბალანაშლილი თეთრი

<sup>2</sup> „ნიანგა“ — სატირო-იუმორისტული უურნალი (გამოდის 1923 წლიდან).

<sup>3</sup> „ტარტაროზშ“ — სატირულ-იუმორისტული უურნალი (გამოდიდა 1924-1930 წლებში).

## 18.21.17.

მეც მომბეზრდა ნადირობა, აფრიკული საფარი,  
მოვილოცე შიომლები<sup>1</sup>, ნეკრესი<sup>2</sup> თუ საფარა<sup>3</sup>,  
სუფრამ, როგორც ქრისტეს სისხლი, შეიფერა საფერა  
ვი, და რა ვი, ვისი აღარ გახდა თავშესაფარი.

<sup>1</sup> შიომლები — VI საუკუნის სამონასტრო კომპლექსი ქართლში, კასპიან.

<sup>2</sup> ნეკრეს — IV საუკუნის სამონასტრო კომპლექსი კახითში, კვალელთან.

<sup>3</sup> საფარა — X საუკუნის სამონასტრო კომპლექსი მესხეთში, ახალციხის ესთან.

## 18.27.11.

საცა დო და საცა მი და საცა ლა,  
იქვე ფა და იქვე სოლ და საქმარო და საცოლე...  
ოპტავიკებს<sup>1</sup> აქ რა უნდათ — გაყიდვაა საცალო!  
ვინც საცალი შეიძინა, დააყარეთ სიცილი!

<sup>1</sup> ოპტავიკი (რუს. оптовик) — (ბარბ.) ბითუმად მოვაჭრე.

## 25.21.17

ის არ არის მხოლოდ მძლოლი,  
ფრანციციცულად — შოფერი,  
შეფის მესაიდუმლება, მეჯვარე და შაფერი<sup>1</sup>,  
ხაზეინს კი ცოლად ნებავს კლაუდია შიფერი<sup>2</sup>,  
კრამიტით სმის ნიადაგზე დაუცურდა შიფერი!

<sup>1</sup> შაფერი (რუს. шафер) — (ბარბ.) ხელისმომედე.

<sup>2</sup> კლაუდია მეფერი (დ. 1970) — გერმანიული სუპერმოდელი და კანომსახ-ობი.

## 19.17.11.

ტოროლა ვარ ალიონზე<sup>1</sup>... ტოროლა ვარ, ტოროლა...  
ჩემი ტრელით განციფრდება სამოცარტო<sup>2</sup> ტიროლი<sup>3</sup>,  
ტა-რა-ლა-მპა, ტა-რა-ლა-მპა, ტა-რა-ლა-მპა,  
ტა-რა-ლა-მპა...  
ჯდა წყლის პირსა ტარიელი, მესმა მისი ტირილი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „ტოროლა ვარ ალიონზე“... — ისმ. სიმღერა თენგიზ აბულაძეს (1924-1994) და რეზონჩევიძის (დ. 1926) კიონილმიდან „მაგდანას ლურჯა“ (1955; მთავარი პრიზი ხაზის 1956 წლის კიონიგესტვაზე).

<sup>2</sup> ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756-1791) — გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორი.

<sup>3</sup> ტიროლი — მუსკალური ტრადიციელი ცონბილი მხარე ავსტრიაში.

<sup>4</sup> უზად იგულისხმებოდეს რუსთაველის პოემის („ვეფხისტყაოსანი“) გმირი. შდრ, „ნახეს უცხო მომეტე ვინმე, / ჯდა მტირალი წყლისა პირსა“.

## 19.17.13.

თვლით არ არის ყველაფერი? მითუმეტეს — ტარანი!  
თვლით არ არის ყველაფერი? მითუმეტეს — ტირანი!  
ბაგშვილბაში ტირაბეგის ბუდედ მიჩნდა ტირანა<sup>1</sup>,  
მუსოლინი<sup>2</sup> სტადიონით დაამშენა ტურინი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ტირანა — ალბანეთის დედაქალაქი.

<sup>2</sup> ბერნარდინოს (1883-1945) — იტალიის ტეატრისტი დირექტორი (1922-1943).

<sup>3</sup> ტურინი — ქალაქი იტალიის ჩრდილოეთი, სადაც 1933 წლის მუსოლინის თაოსნობით 1934 წლის ფეხბურთელია მსოფლიო ჩემპიონატისათვის აშენდა სტადიონი, რომელსაც დიქტატორის სახელი ეწოდა (დღეს — „სტადიონ კოშუნალუ“).

## 24.26.23.

სხვა რა უნდა ფარას ცხვრისას, ვაცი უნდა და ყოჩილა,  
ერთი კარგი მწყემსიც უნდა —  
მორანგულე და ყოჩალი<sup>1</sup>,  
მას ვერაფერს ვერ დააკლებს  
ვერც მგელი და ვერც ყაჩალი!  
ტყვიაც აქვს და პისტოლ





## ნინო ნასყიდაშვილი



### ჩვენი დღი პანდემიაშე

დღი აჩქარდა, სივრცე დავიწროდა...  
თითქოს უსასრულოდ ვკვეთთ ნულოვან მერიდიანს და

დღეებს ვკარგვთ...

ცხოვრება გადის ძილსა და სიჩქარეში  
და ვერც ერთში ვერ ვასწრებთ ვერაფერს  
(გამოძინება უნდა მოასწრო,

გამოვლიდება უნდა მოასწრო)...

ძილშიც სიჩქარეა მთავარი სტატუსი...

სტატუსებს სიჩქარის

გამო ვწერთ — გვგონია,

ვილაცას რაღაცა თუ ყველას ყველაფერი  
ერთ წუთში ვუთხარით...

და გვრჩება ერთ წუთში ნათქვამი

უთქმელი სათქმელის წლობითი მარაგი...

დრო მიღის

და ჩვენ კი მშვიდად ვირინდებით

ბეჭრინის ხილვებში,

უდროვდ, უსივრცოდ,

უფიქროდ, უსიღრმიდ,

უგანცდოდ, უგრძნბოდ

უფანჯრო კედლებში,

კედლებივით ვშეშდებით და

აუცილებლიბით ვხდებით ერთმანეთს კუთხებში,

ვართმევთ ხელს,

ვუცვლით ლიმილს და ცარიელ სიტყვებს,

სიტყვებს, რომლებსაც

დაეკარგათ გამარჯვების სურვილი და ენერგეტიკა...

...ხელს ვართმევთ ავნებს (და არა მეზობლებს);

დროს ვართმევთ ოცნებებს,

სიზმრებს და სურვილებს;

და სადაც ხრიოკმი ფართხალებს წყურვილი

ლაყუჩახეული...

სადღაც მდუმარება

სუროჩახევეული

ფიქრისკენ გვიხმობს და უჩუმრად გვეძახის...

გავრჩევართ,

ინსტინქტის კარნახით გავრბივართ,

მაგრამ ვერ ვშორდენით

ქალაქის კარკასებს

და კარკასებივით გეგმებს

და გეგმებივით რუტინებს...

დრო გაქანდა, სივრცე გაიყოლა,

ახლა უსასრულო

პიკის საათია...

\* \* \*

დარაბებს მიღმა გაზაფხულია,  
გაზაფხულს მიღმა — სიჩუმის სევდა,

და შავი შიშის არშიით ქარგავს მოლოდინები

ქუჩებს,

ეზობს,

სახლებს,

გალავნებს...

და გალავნებიც ვეღარ აკავებს,

ვერც ჯებირები,

ბარიერები არ არსებობს უხილავ მტრისთვის...

დარაბებს მიღმა გაზაფხულია

ნაირენერადი მოლოდინებით შენილბული

და უცნაური.

და ნიღბებს მიღმა — სახეების გაურკვევლობა,

დამტეჭილდიმილნარევი

გვიმზერს

დალლილი მზერით...

დასვენებული დედამინა

დარაბებს კეტავს, კედლებში გვამნყვდევს

გადარბენებით დალლილ,

უდრიობით დალლილ,

ვერმოსწრებით დალლილ

და... ბოლოს,  
უკვე დასვენებით დალლილ,  
ტყივილებით დალლილ,  
მოლოდინით დალლილ

ადამიანებს....

დალლილისგან ვერ იძინებს სივრცის  
სიცორიელე,

შეფერფლილი შავი შაშვებით,  
შაშვებივით ფრთხიალა შფოთვებით,

შფოთვებივით მოჭახხახე ვარსკვლავებით,

რომლებიც უკვე აღარავის ჰკონია მარადიული...

და მაინც, როგორ მსუბუქად სუნთქაეს,

თითქოს მიზეზი იცის ყოველის

და გაზაფხული ასეც ახარებს,

შავი წვიმისდა მიუხედავად...

დარაბებს მიღმა გაზაფხულია

და გაზაფხულის მიღმა გვახედებს

ზეცის თვალებში,

გომიურვდომ სამომავლოში...

სამშინველი

ჩურჩულით გვაგსებს

და გვაბედვინებს მაინც

იმედებს,

თხოვნებს,

ლოცვას ნოტიოს...

გაზაფხულია ჩვეულებრივ ჩარჩოებს მიღმა,

მიღმა კი არა,

ჩარჩოდარღვევით,

ნერგადასული გაზაფხულია...

დაგმანულია სახლი,

კარი,

ეზო,

სარკმელი...

დარაბებს მიღმა

მაინც

ისევ

ლაღად,

მსუბუქად

და უნილბოდ

სუნთქავს იმედი...

\* \* \*

შენ რომ ქვას წყალი გაადინე

და ყვავს კაკალი გააგდებანე...

შენ რომ

ქურქი გააძრე მელას,

შენ რომ ტყავი გააძრე რწყილს,

შენ რომ ხორცი გააძრე გაძვალტყავებულთ

და ვერც შენიშნე,

წელებზე ფეხებს როგორ იდგამდნენ...

შენ რომ ძვალი გააძრე უძვლო დროებას...

შენ რომ სული გააძრე აღამის მონაგარს...

„იყავნ შენ სრული!“ — გაგახსენდა და

სრულყავ განცხორმა;

„გახსოვდეს სიკედილი!“ — გაგახსენდა და

ადგილი მოზომე და ძეგლი ალიმართე;

„ძმა ძმისთვისაო...“ — გაგახსენდა და

მომედეს შავი დღე გაუთენე...

„ითხოვე და მოგეცემა“, — გაგახსენდა და

რა არ მოითხოვე...

„ქაზე დადე“ გაგახსენდა და

მარტო იქ დადე,

საიდანაც მეტს მოელოდი...

რა გაგახსენდა და რა არ გაგახსენდია...

ალექსანდრე მაკედონელი არ გაგახსენდა???

ითხოვა,

ხელებგაშლილი დამკრძალეთო...

ნეტა რატომ?!

\* \* \*

ჩემმა ნიკომ თქვა: „ყველა რომ ჩქარობს და  
არაფრისთვის დრო არ გვრჩება,  
დმერთმა თქვა,  
შეჩერდითო, მოსვენეთო...  
და გაჩერდა მანქანები...  
და თოვლიც მოვიდა,  
თბილისშიც კი მოვიდაო!“  
ამ ფიქრმა შთამაგონა....

დაცარიელდა ქუჩები,  
დაცარიელდა მოედნები,  
დაცარიელდა რესტორნები,  
დაცარიელდა კაფეები,  
დაცარიელდა,  
დაცარიელდა,  
დაცარიელდა...  
შიშმა შეაშფოთა,  
შიშმა შეაშრეოლ



## ნათეა კაპანაძე

ქ. ჭიათურა, 2021 წ.

ტრიოდრამა

ნანილი 2

მოზარდი

ისევ იგივე. ემზადები, იცვამ შილიფად. მერე მიღიხარ, სულერთია, დღეს რას გეტყვიან მორიგ სეანსზე ფსიქოლოგთან. რაში განაღლებს?! შენი დუმილი რუტინაა, გაუცხოებაც რუტინაა. ახლა მშობლებთან —

ერთი მეტრი და ათასობით სიტყვა გაშორებს...

ისე დაგშორდნენ, თითქოს მუდამ ასე იყავი. არამერია საგნგაშო, გარდა ფიქრების, რომლებიც ისე ჩაგისაფრთხოენ, ვერ გამოიდიარ, უკვე წლებია, ამ მარწუხების გარემოცვით გინევს იცხოვრო... უფრო დუმილი მიიჩვენ, უფრო დუმილა

მიიჩვია შენი განწყობა. და როცა გინდა, ისაუბრო, თითქოს სიტყვები,

თითქოს ბეგერები ამოძირკვეს შენი ტვინიდან...

ისევ მიღიხარ,

მერამდენ ახალ ფსიქოლოგს უნდა აუსხანა, არ გჭირდება ვინმე გისმენდეს. აღარ გჭირდება! ასეთია შენი ცხოვრება, ყოველდღიური

დამქანცველი ერთფეროვნებით.

და ერთადერთი გასართობი ახლა ისაა, რამე ზიანი მიაყენო საკუთარ სხეულს.

ხომ უნდა იგრძნო,

რომ კვლავ ცოცხლობ და თანაზიარ, რტებინულ ყოფას

როგორმე რომ ფეხი აუწყო. მერე იღლები,

რომ ვიღაცის დასანახავად გინევს თამაში...

ისევ იგივე, მორიგ დიღას — მორიგ ფსიქოლოგს რომ შეუხამებ, საკუთარ თავს დაუწყებ ბრძოლას.

ისევ შილიფად გამოდიხარ

დედობი თვალები მინდ მზრუნველად.

შემოგხედავს, შენ კი ულიმი, თავისითავად.

მერე მონოლოგს

გადაიკოთხავ გონებაში. რა უნდა თქვა ახალ სეანსზე. რამე ისეთი არ ნამოგცდეს, ვაიდა ეჭვი შეეპაროთ?! შენი პორტრეტის შედეგენისას, თუ ფსიქოტიპის, ან რა აზრი აქვს, დაასკვნიან: გჭირდება უფრო მიიჩვინები, ლრმა ძილი და მარტივი ხედვა.

საგულდაგულოდ დამალული ჭრილობის მიღმა არაფერია

საგნგაშო... მხოლოდ ფიქრები! რომ არ იფიქრო, ხომ გააფრენ (სასაცილო),

ამაზე მეტი რა მოგივა,

მერე პირდები დედას, რომ აღარ მოიცევი ასე არასდროს!

მამას უბრალოდ თავს დაადებ მხარზე და სანამ

საკუთარ თავსაც დაპირდები, რომ უკვე დროა, უკან გადადგმას ნაბიჯების — გადაეჩინო. სანამ საკუთარ თავს თვალს არ მოავლებ, ვერ აღიარებ... გაგრძელდება ისევ იგივე:

იცვამ შილიფად, მიღიხარ და რაში განაღლებს...

ლალია

ისე დასუსტდი, გეშინია, რომ როცა ნაბიჯს გადადგამ, ქველები გიმტყუნებენ, ჩაიკეცები სადმე ქუჩაში თვალინ შვილების. შეგიცოდებენ.

და უმეტესად, იმ ცარიელი პარკით მაჯაზე დაკიდებულ შენს თავს დაათრევ. უნდა გადარჩე, რადგან ჯერ მხოლოდ ტკივილი გაქვს, ფიქრობ, ნანაზი. არადა, ალბათ, ოცდათის არც კი იქნები...

ეს არის სწორედ ის შემთხვევა, როცა ასაკი მხოლოდ ციფრები აღარ არის, ბევრად მეტია.

ვეღარ ისხენებ იმ დროს, როცა შეი შვილების

ტოლი იყავი, ითმენ შიშებს, როცა გდევინიან.

ორი ნაჭერი პურის გამო სადმე ჯურდმულში ვიღაცის ვნება უნდა დააცხრო, მოუკარებლად,

რადგან შენ ახლა სასურველი ქალის ნასახიც არ გცხია რამე. მთავარია, მთა არ იტირონ,

რადგან ტირილის ხმები მძიმე წარსულს გახსენებს და არანკულებ მძიმე ანძყოს გინდა, გაექცე პირზე ხელების აფარებით, ტირილის ხმები რომ ვერ გაიგო.

ერთხელ კინალამ შემოვაკვდა უმცროსი შვილი, რადგან ვერაცირო გაარჩეუმ. რაც ძალა გქონდა, უჭერდი ხელებს მთელ სახეზე, ნულარ ტირიხარ — უმეორებდი განუწყვეტლივ, სანამ გონება არ დაკარგა. მერე შიშისგან — დიდხანს მღეროდი იაგანანს,

მეტად არნევდი

უმცროს ქალიშვილს, უფროსი კი თვალებს იზშენეტდა. მაშინ პირველად დაგაფიქრა შიშმა სიკვდილის

და იმან, მსგავსი განცდა უნინ რომ არ გქონია, სანამ მშობელი გახდებოდი.

მანამდე თავად იყავი შვილი,

თუმცა, სიკვდილს მშობლების

შენზე სულ არ უმოქმედია.

ყოველთვის მარტო არსებობდი, მძიმე წამებიც

მარტო გაგქონდა დღიდან-დღემდე.

არ გახსოვს, როდის

გაგიხშირდა ფიქრი სიკვდილზე.

გას შემდეგ ხმირად წარმოიდგენ:

როგორ დადინან შენი გვამის გარშემო ქუჩის

ძაღლები, შენი შვილიც იქვე დაბობდავას, მტვერში,

და ზოგჯერ გალიმებულ მის დას გახედავას,

მერე მოვა და ცივ სახეზე ხელებს დაგანცყობს.

ჯერ პატარაა, არ იცის და სულაც არ ღელავს,

თუ რა იქნება მომავალში. და წარმოიდგენ,

ვერ გაიხსენებას, არაფერი მოენატრება,

მარტო გაზრდილი დღიდან-დღემდე.

ან თუ იცოცხელა,

ვინე გარენის ხელში მოხვედრილს

მუდამ სიკვდილი რომ ენდომება...

### ტაქსის მძღოლი

დაგანარ ყოველ დილით, თავზე ტრაფარეტი ადევს მანქანას და სანამ გაახურებ, თვითოონ იყინები...

სანამ ვინმე მოვა,

სანამ კლიენტურას ფასებს შეატყუება, ან

ვინმე ნაცნობი „მუქადა გეტენგბა“.

აბა, როგორ გინდა, დაირიად ნაცნობი, შენი მეზობელი არის

ბოლო-ბოლო, თავს ხომ არ შეირცხება?

იცი, მასაც როგორ

უჭირს. ელოდება სახლში შვილიშვილი,

შენი საბას ტოლი,

შენ კი მისნაირი უკვე ოთხი გყავს და,

ბაბუ ენაცვალოთ, ყველას რაღაც უნდა,

სახლში რომ ბრუნები, უნდა მიუტანო...

მიგყავს, იქით უსმენ იმის ისტორიებს.

როგორ გაუძირეს ამხნის ცხოვრება და

როგორ აღარ ჰქონდება ის ვენსია,

თვისი დასასრულამდე რითი მიატანოს?

მკერეთად ამუხრუჭებ, ყელში მობჯენილ ბურთს

რომ გადაგარებ — ფული არ მონდა,

ჩუმა ეუზნები... მერე მადლობების ისმენი კორინთების,

მაგრამ რას გმილების მხოლოდ მადლობები.

„შვილის კმაყოფაზე არ უნდა იცხოვრო“ —

თავს შემოუძახებ! აღარც ასაკი გაქვს,

სადმე რომ მიგილონ. როცა გამოგადეს,

ცოდნა მოხერხება როგორ ჩანაცვლია.

ისე ტაქტიანად „დაგატრენინგებს“, ეჭვი შეგეპარა თავში. მას მერეა, ტაქს რომ დაატარებ.

ეს ის მანქანაა, რითიც მოიტაცე

შენი მარინა და შენი მომედედ. ცოლი —

ოცდაათი წელი კარის ზღურბლზე რომ გეგებებოდა

„ყდის სიმრუმედან პოეტის სახე ამო-  
ზიდულა, იდუმალი, ჩუმი, მოკრძალებუ-  
ლი, თავის სიღრმეში მიქცეული იერით,  
რაღაც ფარულ სინაზეს რომ მალავს ჩა-  
მუქებულ გამოხედვასა თუ ტუჩის ჩრდილ-  
დაფენილ კუთხეში” (ნაირა გელაშვილი)  
— ასე დაინახა ნიკო სამადაჭვილის სახე  
შთამომავლობამ, რომლის გულისხმიერე-  
ბაში პოეტს ეჭვი ძლიერ ეპარებოდა: „შთა-  
მომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერე-  
ბს... რომ მას შეეძლო პოეტური უმანკოე-  
ბა...“.

ნიკო სამადაშვილის სახელი XX საუკუნე-ნის ქართული პოეზიის კონტექსტში გვიან გაისმა — მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ. ნამდვილი „კალმის უჩინარი“ გამოდგა, რადგან ორიოდე საყმანვილო ლექსის გარდა, არასოდეს არაფერი დაუბეჭდავს. მეტიც, ყველაზე ახლობელი ადამიანი, ერკელე ტატიშვილიც, ურჩევდა, ხელი არ წაგიცდეს, არაფერი დაბეჭდო მათ ურნალ-გაზეთებში, თორემ გაგაფუჭებენო. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ფორმით უნდა შერწყმოდა არსებული ლიტერატურული ველიდან სრულიად ამოვარდნილი მისი ლექსები, „უხევდა ჩლუბზ საბჭოთა ყოფიერებას“, „როგორ აიტანდა საჯაროობას მისი პოეზია: თითოეული ლექსი ხომ მისი სულის აღსარებაა, უკიდურესად გულახდილი და უმაგალითოდ დაუნდობელი“ (ზურაბ კირანძე).

ცხოვრებისეულ პრობლემებთან ერთ-ად (ობლობის განცდა, დედასთან განშორება, საკუთარი ფესვებისგან მოწყვეტა, უნივერსიტეტს მიღმა დარჩენა და სხვა), როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, საკუთარი სათქმელისა და ამ სათქმელისთვის შესაფერისი მხატვრული ფორმის ძიება ტანჯავდა, თავსდამტყვდარი პოეტობის ტვირთი ემძიმებოდა. გავიხსენოთ თუნდაც მისი პროზაული ჩანაწერი სახელწოდებით „მენისქვილე“: „ზოგიერთი ადამიანი საკუთარ თავს უფრო ხშირად გაუზღუნება, ეაჩჩელება, ვიდრე მტერ-მოყვარეს. თუ შემოქმედი თავის შთაგონების აკლდამაში აბედივითი იწის, ის მაშინ ხელჩრდოთულ ბრძოლას ანარმოვებს თავის ორეულთან. იქ არ გიშველის არც ფარი, არც ჩაჭვის პერანგი, არც ბეგთარი, არც მოღერებულ დაშანა. შენს ორეულს შენი ძვლების ლერზის ქვეშ სძინავს, ხან თვლებს, ხან ფხიზლობს... ისეთ დროს ნამოგიხტება, რომ ადარ იცი, თავგზაბნეული სად დაემალო...“.


„შიშვლად, უსამკაულოდ“ ნერა, რო-  
მელიც როგორც ხელივნმა გაბედა, გარ-  
და იმისა, რომ დიდი სულიერ ენერგიას მოი-  
თხოვდა და ფიზიკურადაც, ფაქტობრივ-  
ად, ანადგურებდა, ცხადია, მხოლოდ სათ-  
ქმელის სინედლითა და გულწრფელობით  
არ იყო განპირობებული. აქ პოეტური ხე-  
ლობის ნაკლებობაც ახსენებდა თავს, რა-  
საც ზურაბ კინაძე ასე ხსნის: „სტრიქო-  
ნის გაუმართაობა, რითმა-ურითმობა, პრ-  
ოსოდიული ჩავარდნები... არადა არ გახ-  
და იგი პროფესიონალი პოეტი, რომ ეზრუ-  
ნა სტილზე, ენის დახვეწაზე, „შავბრელი  
პოეზია“, „ხმაბრელი შემოქმედება“, „პოე-  
ზია განა ავადმყოფობა არ არის?“ — ამ  
თვითშეფსების შემდეგ კიდევ სტილზე  
უნდა ეფიქრა?“. თუმცა რაოდენ პარადოქ-  
სულიც უნდა იყოს, „დახვეწილობა და ტკ-  
ბილებმოვანება“ ხშირად შესაძლოა შეგნებ-  
ულადაც კი იყო უარყოფილი, რათა რაღ-

ვილი შეგრძნებებისა და განცდების ხე-

ლობაში გადასაჩენად განნირულა. „მე მა-  
ვდიოდი და გრიგალები / მელობებოლენენ  
მუდამ ქარდალმ, / ბუ ჩამცეკროდა მღვ-  
რიე თვალებში, / სამშობლო იყო ჩემი ქა-  
რაგმა. / რას მთხოვდა ნეტავ უბედურ პო-  
ეტს, / მე რა მექვავა ლექსების გარდა...“ ან  
უფრო მნარედ: „ მე შევიჯავრე ჩემი სამ-  
შობლო, / რადგან სამშობლოს ვძულდი  
სულ მუდამი... / მომწყდით სუყველა: სამშო-  
ბლოც, ხალხიც, / გულში მინთაა ცეცხლის  
ვარამი“. რა უნდა ყოფილიყო ამ ყოვლის-  
დანმოქმედი ვარამი-დარღის მიზეზი? ნი-  
კო სამადაშვილი გვარწმუნებს, რომ ისევ  
და ისევ პოეზიის მორევში შეტოვპა და ამ-  
ით, ფატეტობრივად, სხვისი, ვიღაც აღმატე-  
ბულისა და იმავდროულად გრძნო-  
ბადანენილის, ცხოვრების მორგების მც-  
დელობა, რასაც ემატება სხვაგან, სხვა  
ლექსებში გამუღავნებული, მისი აზრით,

## ნონა კუპრეიშვილი

# კალმის უჩინარი



კიდევ ერთი უპატიქიერელი ცოდვა — ზოგადად „დედამიწაზე შემოხეტება“: „ჩემისამშობლო ამრეზილი თვალით მიყურებს, / რა ვუყო მოვწყდი, ვეღარ ვთიბაძ მინდორში ბალახს“.

„ულმობელი თვითშეფასება“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ნიკო სამადაშვილის ლექსების კითხვისას თავს ხშირად გვახსენებს: „სახე უგვადა სიმწიფისგან კანდაშლილ ჟოლოს, / ყელყელაობით აქლებს პეგავდა, ვიდრე შემოქმედს“, „ხან პოეტი იყო, ხან სივალალე“, „ჩემ საუკუნის ბედმინიდილი კათაკმეველი“, „პოეზიის გერი“, „სიცოცხლის მდგმური“, „ფრინველი გზა-დაკარგული“, „ჭმუნვის სარქალი“, „გზებ-შერისსხული“, „ბედურგები“, „ბედის აბური“, „ჯერ რომ ჩაძმარდა, მერე დაობდა, / ლმ-“

ერთმანი კაცი ცამდე მართალი” — აი, სადამდე აღწევს პოეტური „მე”-სადმი გამოხატული უკამაყოფილების ტალღები. ესამართლაც „საკუთარი მონოდების გაშოლტყვა”, რაშიც ერთგვარი თვითდაურვება იგრძნობა. ასეთი თვითშეგრძნება კი, არც მეტი, არც ნაკლები, ბედნიერების შეუძლებლობის განცდას ბადებს: „შენი არ ვიცი, მე დავითენთე, / სადა არის სადა... ქვეყნიერება? / როგორ არ მინდა, რომ ხვალ გათენდეს, / როგორ არ მინდა ბედნიერება”. ერთი კია, ამ „სითალხეშ“ დღრიდადრო როგორდაც მაინც აღწევს პოეზიის მკრთალი შუქი — ნიკო სამადაშვილის ღვთისური დამდა — და ამ სულიერი ჯოჯობეთის უკანასკნელ გამართლებად გვევლინება: „დანგრეულ სხეულს, გულის სიჩინიდე, / როგორდა შერჩა, ვით მერცხლისა

პოეტის გარდაცვალებიდან ერთი წლის  
თავზე, 1964 წელს, ნიკო სამადაშვილისა  
უძროსმა მეგობარმა თამაზ ჩხერიელმა  
მისი პოეზიის სიცოცხლისუნარიანობა  
ფორმისა და შინაარსის ტრადიციული დი-

თუ ერევლე ტატიშვილთან გამართული იმ საუბრების მოკლე რეტროსაცეტივის აუცილებლობას შევიგრძნობთ, შეგვიძლია, მივმართოთ კარლ იასპერის ცნობილ ნერილს „ნიცშედა ქრისტიანობა“, რომელშიც ნიცშესული კულტურის რღვევის „შთამბეჭდავი სურათია წარმოდგენილი: ინყება იგი ნიცშესავე ამ ციტატით: „ვინც დლეს მციროდნენ ყოყმანსაც კი გამოავლენს თავის დამოკიდებულებაში ქრისტიანობისადმი, მე მას ხელს არ გავუწყდო. აյ შესძლებელია მხოლოდ ერთი პოზიციის არსებობა და ესაა უპირობო არა!“ და შემდეგ: „მოვლენა, რომლის მნიშვნელობაც ევროპელებამდე გვიან მიაღწევს, ესაა

ლმერთის სიკედილი! ეს არაა ნიცშეს მოსაზრება, ესაა ფაქტი, თანამედროვე რეალობის დიაგნოზი... ლმერთი მოკედა და მისი სიკედილის მიზეზი თავად ქრისტიანობაა. ქრისტიანობის ყალბი ფიქციები — ლმერთი, მორალური წესრიგი სამყაროში, უკედავება, ცოდვა, შენყალება, მონანიება — გამოაშვარავდა და დარჩა არაფერო. ქრისტიანობის ყველა ღირებულება ფიქტური აღმოჩნდა და ადამიანი სიცარიელეში ჩაიძირა... განათლება ჩანაცვლებულია უშინაარსო ინფორმაციულობით; სულიერი სუბსტანციულობა — საყოველთაო ფარისევლობით, ვითომ ცხოვრებით; მოწყენილობა განიდევნება ნარკოტიკებით და მძაფრი შეგრძნებების მომტანი სხვა სახეობებით; ყოველი ცოცხალი ბუნებრივი ყლორტი ითელება ილუზორული სულის მიერ ატეხილი ხმაურით; ყველა საუბრობს, მაგრამ ერთმანეთის არავის ესმის; ყველაფერი იხრწნება სიტყვათა ნაკადში, ასე ვთქვათ, ინთერება გაუთავებულ ყბედობაში. ჩვენ ირგვლივ უდაბნოა, სადაც თვალს ვადევნება გიუჟრ შეჯიბრებას მოგების-თვის“. ნიცშებ აჩვენა — დასცენს იასპერისი — „მანქანისა და მექანიზებული შრომის სიმრუდე“, მასის, როგორც განვითარებადი მოვლენის არსი. „შემდევ ამას მოჰყება მოძრაობა ნიჰილიზმიდან უკან, გამოხატული სიტყვებით: სიცოცხლე, ძალა, ძალა-უფლების ნება, ... მარადიული დაბრუნება, დონისო...“ (კარლ იასპერსი).

ნიკო სამადაშვილის მასწავლებელს, ახალი ტიპის სულიერ მოძღვარს, ევროპულ-ქართული კონტექსტის ტრანსლატორსა და კომენტატორს, ერეკლე ტატიშვილს, რომელიც, როგორც თამაზ ჩხერიელი შენიშვნას, ერთგვარ დემონიზმსაც არ იყო მოკლებული, თავისი შეგირდი სწორედ ამგვარ სახეცვლილ სივრცეში გადაჰყავს, სადაც პოეტი მხოლოდ შინაგანი ენერგიის, საკუთარი აღქმა-შეგრძნებისა და მათი შესაბამისი ახალი მხატვრული ფორმების ამარა რჩება („...კეთილო, შენ რომ ჭმუნვა გადამდე / არც კი ვუმხელდი ბინდდარა ქართული კეთილო, შენ რომ ჭმუნვა გადამდე /“).

კელებს... ძენ რო ხახვედი, ასე მგონია, / მთელი ქეყუანა თან გაიხვეტე"). ასეც მოხდა. საბჭოურ ფუჭისიტყვაობას განრიდებულმა ნიკო სამადაშვილმა ამგვარით ვითჩალრმავების გზაზე თავი არა მარტო საზოგადოებისგან დისტანციორებულად, არა მარტო გარიყულად (...-ემდურებოდა გამჩენეს, ხან დედას, / ბრძომ შეუბლალა მაღალი გრძნობა. / დილით მიდამოს რო გახედავდა, / ნისლივით იდგა უმეგობრობა!"), არამედ საკუთარი მოდგმის სულიერი რღვევის მოწმედ, სულაც „უკანასკნელ ქრისტიანად“ აღიქვა. ეს უაღრესად ტევადი მეტაფორა, მართლაც, გვხვდება მის ერთლექსში „ბეთანია“ („უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს უკანასკნელი ქრისტიანები“) და იგი სხვა არაფერია, თუ არა სახენიშანი გადაგვარებულ-გამოხსრული ქვეყნიერების, რომელიც, როგორც ზურაბ კიკნაძე შეინშნავს, ან „ძეველ გნოსტიკოსთა ბოროტმა ღმერთმა შექმნა ასეთად ან ერთხელ სრულყოფილად შექმნილმა ამონურა თავისი თავი და გამოიფიტ, გამოშრა, საზრისისგან გამოიშიგა. „ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ რწმენის შერყევის ტრაგედიის ექი, რომელიც ნიკო სამადაშვილს გამუშავებით თან სდევს, პირველ ყოვლისა, რწმენისავე საკულტო ადგილებზე, „ნუთისოფლის საზრისის ამ ნიშნებზე“, აისახება: „უამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს, / რომ გარეთ უონავს ჭრაქის სანთელი...“; „ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს / ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი...“; „სამრეკლო იდგა მუდამ პიქუშად, / რომ დარეკავდი გაყრიდა ნაგავს...“. რამდენადაც პირქუშია და მკეთრო შეფასებათა ეს წყება, იმდენად ნატიფი და ფრენ-სკულია მოგონებებში ჯერ კიდევ ჩარჩენილი უფლისა და მარიამ ღვთისმშობლის ხსოვნის სურათები: „ნარმართა ძვლებზე იდგა ტაძრი, / ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთებში, / ძირს წმინდა ნინოს ნაფეურები, / ჰეგადნენ სისახმზე მოკრეფილ იქბეს. / ვით უკვდავება წყაროანკარა / აცისკ-როვნებდა ირმების ფერდობს. / ქრისტება ბაგშვიობა აქ გაატარა / და ღვთისმშობელის უგვიდა ეზოს“. კიდევ რამდენიმე ლექსში კი აშეკარად ისმის ტრაპეზიდან მომავალი აკვნის რწევის ხმა. და თუ ეს აკვანი ცარიელია (ყველა ნიშნით კი იგი სწორედ ასეთია), უზაყოფობის, ადამიანისგან დაცლილობის ამაზე მეტყველი სახე-სიმბოლო ძნელად ნარმოსადგენია.

